

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას

ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას
ბრალდების საქმესთან დაკავშირებით,

საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი კვლევითი
ინსტიტუტის Gnomon Wise-ის („გნომონ ვაიზი“) სასამართლოს მეგობრის (Amicus
Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე
მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად*

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე მუშაობდნენ:

დავით ზედელაშვილი -

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, Gnomon Wise-ის მკვლევარი;

თამარ ქეცბაია -

Gnomon Wise-ის მკვლევარი.

სარჩევი

შესავალი	3
ნაწილი I - კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩო.....	4
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციური წყობა და საბჭოთა კონსტიტუციების ბუნება.....	4
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი საბჭოთა კონსტიტუციურ წყობაში და საერთაშორისო ურთიერთობებში.....	7
მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენის უფლებამოსილება სსრკ-ის კონსტიტუციებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მიხედვით.....	11
მეზობელ სუვერენულ სახელმწიფოებთან საზღვრების დადგენის უფლებამოსილება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციურ ჩარჩოში.....	14
დასკვნა	15
ნაწილი II - აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მთავრობათაშორისი ერთობლივი კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.....	16
სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საერთაშორისო პრაქტიკა: სახელმწიფოთაშორისი კომისიის მუშაობიდან საერთაშორისო ხელშეკრულების ორმხრივ რატიფიკაციამდე.....	16
მთავრობათაშორისი კომისიის ერთობლივი სხდომის 1996 წლის 13 ივნისის ოქმის სამართლებრივი ბუნება	19
კარტოგრაფიული მასალების მნიშვნელობა და სამართლებრივი სტატუსი საზღვრის დელიმიტაციის პროცესში.....	20
1938 წლის მარტში საქართველოს და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდენტების მიერ დამტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენის ოქმისა და თანდართული 1: 500 000 მასშტაბის რუკაზე დატანილი სადელიმიტაციო ხაზის სამართლებრივი მნიშვნელობა.....	21
დასკვნა	23

შესავალი

თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს ბრალდებულების ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას მიმართ. მათ ბრალად ედებათ საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედების ჩადენა, მიმართული საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ბრალდების მხარის მტკიცებით, ივერი მელაშვილმა და ნატალია ილიჩოვამ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესში (1996-2007 წლებში), საქართველოს პოზიციების ამსახველი 1:50 000 მასშტაბის რუკის ალბომების შედგენისას იხელმძღვანელეს ისეთი რუკებით, რომლებიც ქართული მხარის ინტერესების საზიანოდ, წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ რელევანტურ მასალებთან, რომლებსაც ისინი ფლობდნენ.

იმისათვის, რომ სასამართლომ საქმეზე სრულყოფილად და ყოვლისმომცველად შეისწავლოს და შეაფასოს მტკიცებულებები და გამოიტანოს განაჩენი დასაბუთებულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, საჭირო იქნება შემდეგი სამართლებრივი საკითხების გამოკვლევა: პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესის კონსტიტუციური საფუძველი საქართველოს კონსტიტუციურ სისტემაში. შესაბამისად, დადგინდეს საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მთავრობათაშორისი ერთობლივი კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ამ კომისიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ბუნება.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომისიის მუშაობის საწყის ეტაპზე, მხარეთა შეთანხმებით, საბაზისო სადელიმიტაციო ხაზად განისაზღვრა საქართველოს და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის 1938 წელს ორმხრივად შეთანხმებული სადელიმიტაციო ხაზი, აუცილებელია 1938 წლის საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდენტების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ბუნება საბჭოთა კონსტიტუციური კანონიერების შუქზე შეფასდეს. ამასთან ერთად, აუცილებელია განისაზღვროს აღნიშნულ აქტებზე საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ შეთანხმების დაფუძნების სამართლებრივი საფუძვლები საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

სასამართლოს მეგობრის წინამდებარე მოსაზრება განიხილავს ყველა ზემოთჩამოთვლილ საკითხს იმ მიზნით, რომ სასამართლოს დაეხმაროს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში.

ნაწილი I - კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩო

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციური წყობა და საბჭოთა კონსტიტუციების ბუნება

დასავლურ აკადემიურ ლიტერატურაში, ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმატიული პრიზმიდან დაკვირვებისას, განასხვავებდნენ საბჭოთა კონსტიტუციების ორ ძირითად ფუნქციას. ერთი მხრივ, საბჭოთა კონსტიტუცია იყო უზენაესი კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოთა სამართლის სტაბილურობას, მეორე მხრივ, ის იყო უზენაესი პროგრამული დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იყო საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მიზნები.¹

სწორედ საბჭოთა კონსტიტუციების ამგვარ, ორმაგ ბუნებას გაუსვა ხაზი ლეონიდ ბრეჟნევმა 1977 წელს კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით სიტყვით გამოსვლისას. ბრეჟნევის მიხედვით, კომუნისტური პარტია მიჰყვება ლენინისტურ ტრადიციას და მოქმედებს იმ დაშვებით, რომ კონსტიტუცია არის არა მხოლოდ სამართლებრივი აქტი, არამედ მთავარი პოლიტიკური დოკუმენტიც, რომელიც რევოლუციური მიღწევების კონსოლიდაციას ახდენს და განსაზღვრავს სოციალისტური მშენებლობის ფუნდამენტურ მიზნებსა და ამოცანებს.²

იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კონსტიტუციების ნორმატიული ბუნება შეზღუდული გახლდათ, რაც სწორედ პროგრამული ბუნების პრიმატიდან მომდინარეობდა, მას უფრო მეტად პროგრამული ხასიათის დოკუმენტებად მოიხსენიებენ. შესაბამისად, საბჭოთა კონსტიტუცია და საბჭოთა სამართალი პროგრამული პოლიტიკური მიზნების მიღწევის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა.³ ეს პროგრამული მიზნებიც, თავისთავად, საბჭოთა ხელისუფლების 70-წლიანი ისტორიის მანძილზე გარემოებების შესაბამისად იცვლებოდა.

თუ საწყის ეტაპზე საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის მთავარი პროგრამული მიზანი პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და კონსოლიდაცია იყო⁴, ისევე როგორც 1924 წლის სსრკ-ის კონსტიტუციის,⁵ 1936 წლის სტალინურმა კონსტიტუციამ პროლეტარიატის დიქტატურის მიზნები შესრულებულად გამოაცხადა და მუშათა და გლეხთა სოციალისტური

¹ Osakwe Ch., The Theories and Realities of Modern Soviet Constitutional Law: An Analysis of the 1977 USSR Constitution, University of Pennsylvania Law Review, 127, no. 5, 1979, 1365.

² იქვე, 1366.

³ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 1-2.

⁴ Конституция (основной закон) Российской Социалистической Федеративной Советской Республики, Ст. 9, Издание Петроградского Совета Рабочих и Красн. Депутатов, Петроград, 1918. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.prlib.ru/item/420905>.

⁵ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პირველი კარი, ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა N 80, 1924. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3pojUVN>.

წყობა დაფუძნებულად.⁶ სტალინურმა კონსტიტუციამ კომუნიზმზე ტრანზიციის გლობალური მიზანი დაისახა, რომლის გარკვეულწილად მოდერაციაც გახდა საჭირო 1977 წლის ე.წ. ბრეჟნევის კონსტიტუციით.⁷ 1977 წლის კონსტიტუციამ გამოაცხადა განვითარებულ სოციალიზმზე გადასვლა, ასევე დააზუსტა საბჭოთა სახელმწიფოს ხალხის კლასობრივი შემადგენლობა და მასში მუშებთან და გლეხებთან ერთად ინტელიგენციაც მოაქცია.⁸

ნორმატიული თვალსაზრისით, საბჭოთა კონსტიტუციას არასდროს შეუძენია საჯარო ხელისუფლების ყოვლისმომცველი მოწესრიგებისა და შეზღუდვის ფუნქციები. შესაბამისად, კონსტიტუციონალიზმის ნორმატიული თეორიის კლასიფიკაციით, საბჭოთა კონსტიტუციები ახლოს დგანან აღწერილობითი კონსტიტუციების ტიპთან. აღწერილობითი ხასიათის კონსტიტუციები მხოლოდ აღწერენ საჯარო ხელისუფლების ორგანოებს და მათი მუშაობის მოდალობებსა და პროცედურებს. თუმცა აღწერილობით კონსტიტუციებს აკლიათ ძალა შეზღუდონ და ყოვლისმომცველად მოაწესრიგონ ამ ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, დააწესონ აღნიშნული გადაწყვეტილებებისთვის ეფექტური და სამართლებრივად აღსრულებადი შინაარსობრივი და პროცედურულ-ინსტიტუციური ხასიათის შეზღუდვები. აღწერილობით კონსტიტუციებს შესაბამისად აკლიათ მითითება რეალური ძალაუფლების მქონე პერსონებზე თუ ინსტიტუტებზე, შესაბამისად, ეს უკანასკნელნი რჩებიან კონსტიტუციური მოწესრიგებისა და შეზღუდვის მიღმა.⁹

იოსებ სტალინის პიროვნების კულტის პირობებში, მისეული საბჭოთა კონსტიტუცია მიახლოებითაც არ აღწერდა ბელადის განუზომელ პერსონალურ ძალაუფლებას. სტალინის სიკვდილისა და პიროვნების კულტის საჯარო უარყოფის შემდეგ, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მცირერიცხოვან ელიტაზე გადანაწილდა რეალური ძალაუფლება, არც აღნიშნულს მოუპოვებია ადეკვატური კონსტიტუციური ასახვა.

ძალაუფლების რეალობის აღწერას შედარებით მიუახლოვდა 1977 წლის კონსტიტუცია, რომლის მე-6 მუხლის მიხედვითაც: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.“¹⁰

⁶ Конституция (основной закон) Союза Советских Социалистических Республик, Ст. 1, 1936. ხელმისაწვდომია აქ: <http://constitution.garant.ru/history/ussr-rsfsr/1936/>.

⁷ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), საბჭოთა საქართველო, 1977, 4-5. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3abaWVP>.

⁸ იქვე, 1-ლი მუხლი.

⁹ Grimm, D. The Achievement of Constitutionalism and its Prospects in a Changed World. In *The Twilight of Constitutionalism?*. : Oxford University Press (2010).

¹⁰ იხ., შენიშვნა 7, მე-6 მუხლი.

სკკპ-ში და მის მმართველ ორგანოებში (პოლიტიბიურო, გენერალური მდივანი) რეალური ძალაუფლების კონცენტრაციის მიუხედავად, 1977 წლის კონსტიტუციაც ძალაუფლების წყაროდ ხალხს ასახელებდა, ხოლო უმაღლეს საჯარო ხელისუფლებას ხალხის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს უნაწილებდა.¹¹ სსრკ-ის უმაღლესი საბჭო, ბიკამერალური წარმომადგენლობითი ორგანო გახლდათ, რომელიც სესიებზე შეზღუდული დროით წელიწადში ორჯერ იკრიბებოდა.¹² სესიებს შორის პერიოდში უმაღლესი საბჭოს ფუნქციებს სრულად ახორციელებდა საბჭოს ყველაზე სანდო პარტიული წევრებისგან¹³ შემდგარი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.¹⁴

1936 წლის კონსტიტუციის მიდებამდე უმაღლესი ძალაუფლება გადანაწილებული იყო საბჭოების საკავშირო ყრილობასა და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შორის.¹⁵ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავის მხრივ ბიკამერალური ორგანო იყო და შედგებოდა საკავშირო და ეროვნებათა საბჭოებისგან.¹⁶ ცაკ-ი ყოველწლიურ ლიმიტირებულ სესიებზე იკრიბებოდა სრული შემადგენლობით, შესაბამისად, მისი ყველა უფლებამოსილება ასევე პრეზიდიუმზე იყო დელეგირებული.¹⁷ 1936 წლის კონსტიტუციამ საბოლოოდ შექმნა ერთი ბიკამერალური უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო,¹⁸ რომელიც შენარჩუნდა 1977 წლის კონსტიტუციითაც.¹⁹ რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, ის ჯერ სახალხო კომისართა საბჭოს ეკუთვნოდა,²⁰ ხოლო მოგვიანებით, კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების

¹¹ იქვე, მე-2 მუხლი - „სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის“, 106-ე მუხლი - „სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო... სსრ კავშირის კანონებს მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს“, 127-ე მუხლი - „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო - სსრ კავშირის მთავრობა - სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა“.

¹² იქვე, 107-ე მუხლი - „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისგან: კავშირის საბჭოსაგან და ეროვნებათა საბჭოსაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატები თანასწორუფლებიანი არიან“, 110-ე მუხლი - „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს იწვევენ წელიწადში ორჯერ“.

¹³ იხ., შენიშვნა 3, 101.

¹⁴ იხ., შენიშვნა 7, 117-122-ე მუხლები.

¹⁵ იხ., შენიშვნა 5, მე-8 მუხლი - „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საბჭოთა ყრილობა, ხოლო საბჭოთა ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი...“.

¹⁶ იქვე, მე-13 მუხლი - „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან“.

¹⁷ იქვე, 29-36-ე მუხლები.

¹⁸ იხ., შენიშვნა 6, 30-ე მუხლი - „სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო“, 33-ე მუხლი - „სსრკ-ს უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისგან: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან“.

¹⁹ იხ., შენიშვნა 11-12.

²⁰ იხ., შენიშვნა 5, სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭო არის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა...“. ასევე, იხ., შენიშვნა 6, სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 64-ე მუხლის მიხედვით, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭო“.

შედეგად (1947 წლის რედაქციით)²¹ და 1977 წლის კონსტიტუციის მიხედვითაც, მინისტრთა საბჭოს.²²

მიუხედავად საბჭოთა კონსტიტუციების შეზღუდული ნორმატიული ბუნებისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ თუმცა საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილებას მიკუთვნებული გადაწყვეტილებები მიიღებოდა უფლებამოსილი კონსტიტუციური ორგანოების მიღმა (ბელადის, კომუნისტური პარტიის მმართველი ელიტის მიერ), ამ გადაწყვეტილებების სათანადო ფორმალური კონსტიტუციური პროცედურებით დადასტურება-გაფორმება ყოველთვის ხდებოდა საამისოდ უფლებამოსილი კონსტიტუციური ორგანოების მიერ.

აღნიშნულის ერთ-ერთი გარანტია გახლდათ სკკპ-ის ერთპარტიული მმართველობა, რომელიც კონსტიტუციურად იყო გარანტირებული. ერთპარტიულობის გარდა სკკპ-სადმი არჩევითი ორგანოების დაქვემდებარებას საჯარო ხელისუფლების ყველა დონეზე უზრუნველყოფდა კონსტიტუციურად განმტკიცებული ლენინისტური ე.წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპი, რომელიც სკკპ-ის ოფიციალური იდეოლოგიით: „ერთმანეთს უხამებდა ცენტრალურ წინამძღოლობას ადგილობრივ ინიციატივასა და შემოქმედებითობასთან.“²³

ყოველივე ზემოაღნიშნული გასათვალისწინებელია, როდესაც ვსაუბრობთ საბჭოთა კონსტიტუციების საფუძველზე საჯარო ხელისუფლების უმაღლესი თუ რესპუბლიკური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების შესახებ. ასეთ დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ფორმალური კონსტიტუციურ-სამართლებრივი კრიტერიუმებით, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საბჭოთა კონსტიტუციის შეზღუდული ნორმატიული ბუნება და სსრკ-ში ძალაუფლების კონსტიტუციისგან განსხვავებული რეალობები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი საბჭოთა კონსტიტუციურ წყობაში და საერთაშორისო ურთიერთობებში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1922 წლის 5 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც: „არ იწყნარებდა არავის სწორუფლებიან მფლობელობას თავის ტერიტორიაზე, სამაგიეროდ, არც თვითონ განავრცელებდა თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე.“²⁴

²¹ Конституция (Основной закон) СССР в редакции от 25 февраля 1947 г., Ст. 64. ხელმისაწვდომია აქ: http://constitution.garant.ru/history/ussr-rsfsr/1936/red_1936/3958684/

²² იბ., შენიშვნა 11.

²³ Ludwowski R., Soviet Constitutional Changes of the Glasnost Era: A Historical Perspective,” NYLS Journal of International and Comparative Law, Vol.10, No.2, Article 2, 1989, 138.

²⁴ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლი, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის გამოცემა, 1922. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/2YuZtel>.

1922 წლის კონსტიტუციის 63-ე მუხლის მიხედვით, უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დაჭერა, ომის გამოცხადება, ზავის შეკვრა და საზავო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის განსაკუთრებულ გამგებლობას ექვემდებარებოდა.²⁵

1922 წლის კონსტიტუცია ფორმალურად ინარჩუნებდა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მიუხედავად მისი ფაქტობრივი არარსებობისა საბჭოთა რუსეთის სამხედრო ოკუპაციის გამო. თუმცა, საბჭოთა კავშირის შექმნის თანადროულად მიმდინარე პროცესმა სწრაფადვე შეცვალა ფორმალური კონსტიტუციური მდგომარეობა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტი კონსტიტუციურადაც შეიზღუდა. შედეგად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მისი არსებობის მანძილზე არასდროს შეუძენია სრულფასოვანი სუვერენიტეტი, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა საერთაშორისო სამართლის თანასწორუფლებიანად აღიარებული სუბიექტი გამხდარიყო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) შექმნიდან პირველ წლებში სსრკ ცდილობდა მიეღწია მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლად გაწევრიანებისათვის გაეროში. სსრკ ამით მიზნად ისახავდა გაეზარდა საკუთარი გავლენა გაეროს ორგანოებში. სსრკ კავშირმა ამ მიზანს მხოლოდ უკრაინისა და ბელორუსიის სსრ-ების შემთხვევაში მიაღწია, დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოს სსრ, დამოუკიდებლად არ გამხდარან გაეროს წევრები. აღნიშნული ეფუძნებოდა საერთაშორისო საზოგადოების მკაფიო კონსენსუსს, რომ მოკავშირე რესპუბლიკები არ იყვნენ სუვერენულები და მათი გაეროს წევრად დამოუკიდებელი მიღება ამ რესპუბლიკების არარსებული სუვერენიტეტის ფორმალური აღიარება იქნებოდა და მხოლოდ სსრკ-ის საგარეო პოლიტიკის მიზნებს მოემსახურებოდა.²⁶

1922 წელსვე საქართველოს სსრ სუვერენიტეტი შეიზღუდა შემდეგი სამართლებრივი აქტებით: 1922 წლის 12 მარტს, ვლადიმირ ლენინის გადაწყვეტილებით იქმნება ფედერაციული გაერთიანება ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა, ხოლო 13 დეკემბერს ოფიციალურად შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (ასფსრ) (Закавказская Социалистическая Федеративная Советская Республика-ЗСФСР), რომელშიც შედიოდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკები.²⁷ ასფსრ თავდაპირველად გამოცხადდა სუვერენულ რესპუბლიკად, თუმცა 1922 წლის 30 დეკემბერს შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე.²⁸ სამოკავშირეო ხელშეკრულებამ, რომელიც ფაქტობრივად სსრკ-ის პირველი კონსტიტუცია იყო, შეზღუდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი,

²⁵ იქვე, 63-ე მუხლი.

²⁶ Hazard, 'Soviet Republics in International Law', in R. Bernhardt (ed.) Encyclopedia of Public International Law, Instalment 10 (1987) 418, 420-3; Blum, Y.Z. Russia Takes Over the Soviet Union's Seat at the United Nations, European Journal of International Law, Volume 3, Issue 2, 1992, Pages 354-361.

²⁷ Конституция Закавказской Социалистической Федеративной Советской Республики, 13 Декабря 1922, Советские Конституции Хрестоматия, часть 1, Составитель Д.В. Кузнецов Благовещенск, 2015, 91-95. ხელმისაწვდომია აქ: http://kuznetsov.ucoz.org/books/sovetskie_konstitucii_1.pdf.

²⁸ Договор об образовании Союза Советских Социалистических Республик, 30 декабря 1922. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/39lvk7b>.

შექმნა რა საკავშირო ხელისუფლების ორგანოები და გაითვალისწინა მათი უფლებამოსილებები.²⁹ ამასთან, სამოკავშირეო ხელშეკრულების 24-ე მუხლი, მოითხოვდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები შესაბამისობაში მოსულიყო ამ ხელშეკრულებასთან.³⁰

შესაბამისად, 1922 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სსრ გაერთიანებული იყო ასფსრ-ში, რომელიც თავის მხრივ, გახდა სსრკ-ის დამფუძნებელი. შესაბამისად, საქართველოს სსრ სუვერენიტეტი ორმაგ შეზღუდვას დაექვემდებარა, პირველ დონეზე საქართველოს სსრ-ის სუვერენიტეტი შეზღუდული იყო ასფსრ-ში მონაწილეობით, ხოლო მეორე დონეზე ასფსრ-ის სუვერენიტეტი შეზღუდული იყო სსრკ-ში მონაწილეობით. ამრიგად, საქართველოს სსრ 1922 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო სუვერენული სახელმწიფო, სახელმწიფო სუვერენიტეტი და საერთაშორისო სამართალსუბიექტობა ეკუთვნოდა მხოლოდ სსრკ-ის რომლის ნაწილიც ასფსრ-ის მეშვეობით იყო საქართველოს სსრ.

აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა კონსტიტუციურად დაზუსტდა შემდგომ კონსტიტუციურ ტექსტებშიც. **კერძოდ, სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციის მიხედვით**, კავშირი არის თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, სადაც თითოეულ რესპუბლიკას უზრუნველყოფილი აქვს უფლება თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან,³¹ ამასთან კავშირის კარი ღიაა ყველა, როგორც ამჟამად არსებული, ისე მომავალში აღმოცენებული სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისთვის.³² ამ ეტაპზეც საქართველოს სსრ ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფედერაციის სახელით არის კავშირის წევრი.³³ შესაბამისად, სსრკ-დან გასვლის გადაწყვეტილების მიღების ფორმალური უფლებამოსილება მხოლოდ ასფსრ-ს აქვს.

1924 წლის სსრკ-ის კონსტიტუციამ განამტკიცა საკავშირო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებები და შეზღუდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი. კერძოდ, 1924 წლის კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს და გააუქმოს მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებანი.³⁴

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე, 24-ე მუხლი.

³¹ იხ., შენიშვნა 5, მე-4 მუხლი - „თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა შეინარჩუნებს უფლებას თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან“.

³² იქვე, კარი პირველი, 8.

³³ იქვე, კარი მეორე, „რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა (აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) შეერთდებიან ერთ საკავშირო სახელმწიფოდ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად“.

³⁴ იქვე, 31-ე მუხლი.

ამასთან, 32-ე მუხლის მიხედვით, პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოების ყრილობის დადგენილება, ხოლო შემდგომ ასეთი დადგენილება უნდა წარუდგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად აღმასრულებელ კომიტეტს.³⁵

ზუსტად ასეთივე უფლებამოსილება ჰქონდათ ასფსრ-ის ორგანოებს ასფსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციის მიხედვით,³⁶ ამასთან, 1927 წლის საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით, საქართველოს სსრ იტოვებს უფლებას გამოვიდეს ასფსრ-დან იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ კავშირის კონსტიტუციით.³⁷

1936 წლის სტალინურმა კონსტიტუციამ დააზუსტა სსრკ-ის უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები (მე-14 მუხლი).³⁸ მათ შორის ამ ორგანოების უფლებამოსილებას მიეკუთვნება საერთაშორისო ურთიერთობებში საბჭოთა კავშირის წარმოდგენა, ხელშეკრულების დადება, რატიფიკაცია და დენონსირება სხვა სახელმწიფოებთან,³⁹ კავშირში შემავალი რესპუბლიკებისა და უცხოეთთან ურთიერთობის საერთო წესრიგის განსაზღვრა.⁴⁰ სტალინური კონსტიტუციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის შეზღუდვას, სსრკ-ის ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებებით. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად: „კავშირის რესპუბლიკების სუვერენიტეტი შეზღუდულია მხოლოდ კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებში. ამ ფარგლებს მიღმა კავშირის ყველა რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს მის სახელმწიფო ხელისუფლებას.“⁴¹

³⁵ იქვე, 32-ე მუხლი.

³⁶ 31-ე მუხლი „ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს ასფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და ცალკე სახალხო კომისარიატების დადგენილებები, აგრეთვე ასფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებები“. ასევე, 32-ე მუხლის მიხედვით, „ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს ასფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობების დადგენილებები, ხოლო შემდგომ ასეთი დადგენილება უნდა წარუდგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“, Конституция Закавказской Социалистической Федеративной Советской Республики (1925), Ст. 31-32, Собрание Советских конституций и конституционных актов, Харьков, 1928, 77-88., ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/2MuMxSB>

³⁷ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მე-6 მუხლი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი, 1927. ხელმისაწვდომია აქ: http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/327372/1/Konstitucia_1927.pdf.

³⁸ იხ., შენიშვნა 6, მე-14 მუხლი.

³⁹ იქვე, მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁰ აღნიშნული ჩანაწერი 1944 წლის პირველ თებერვალს განხორციელებული ცვლილებებით ჩნდება. Закон СССР от 1 февраля 1944 г. "О предоставлении союзным республикам полномочий в области внешних сношений и о преобразовании в связи с этим Народного комиссариата иностранных дел из общесоюзного в союзно-республиканский народный комиссариат

⁴¹ იხ., შენიშვნა 6, მე-15 მუხლი.

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, 1937 წელს მიღებული საქართველოს სსრ კონსტიტუციაც აკეთებს მითითებას საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვაზე სსრკ-ის კონსტიტუციის მე-14 მუხლით.⁴²

როგორც სტალინურმა ისე ბრეჟნევის კონსტიტუციებმა შეინარჩუნეს მოკავშირე რესპუბლიკების სსრკ-დან გასვლის უფლება.⁴³ სსრკ-ის კონსტიტუციები ასევე ითვალისწინებდნენ მოკავშირე რესპუბლიკის სავალდებულო თანხმობას ამ რესპუბლიკის ტერიტორიის ცვლილების საკითხის გადასაწყვეტად.⁴⁴

მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენის უფლებამოსილება სსრკ-ის კონსტიტუციებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მიხედვით.

სსრკ-ის ყველა კონსტიტუცია (1924, 1936, 1977) ითვალისწინებს ძირითადად ერთგვაროვანი შინაარსის მომწესრიგებელ ნორმებს მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენა მიეკუთვნება სსრკ-ის უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების გამგებლობას.⁴⁵ თუმცა, ყველა

⁴² „სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე, საქართველოს სსრ ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის სუვერენულ უფლებებს“, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მე-13 მუხლი, გაზ. ჩვენი საყვირის გამოცემა, 1937. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/39laXY3>

⁴³ სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით: „საბჭოთა კავშირის თითოეული რესპუბლიკა ინარჩუნებს სსრკ-დან თავისუფლად გასვლის უფლებას“ და სსრკ-ის 1977 წლის კონსტიტუციის 71-ე მუხლის მიხედვით: „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება“.

⁴⁴ იხ., შენიშვნა 46.

⁴⁵ სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, - მისი უმაღლესი ორგანოების სახით, - გამგებლობას ექვემდებარება: კავშირის საგარეო საზღვრების შეცვლა და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა შორის საზღვრების შეცვლის საკითხის მოწესრიგება“. სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, გამგებლობას მიეკუთვნება: საკავშირო რესპუბლიკებს შორის საზღვრებში ცვლილებების დამტკიცება“. სსრკ-ის 1977 წლის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მიხედვით „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით, განეკუთვნება: 1. სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღება; მოკავშირე რესპუბლიკათა შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკიცება; 2. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დადგენა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება“. აქვე, აღსანიშნავია, სსრკ-ის 1977 წლის კონსტიტუციის 77-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა“.

აღნიშნული საკავშირო კონსტიტუცია ასევე ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკის სავალდებულო თანხმობას მისი ტერიტორიის ცვლილების გადაწყვეტილების მისაღებად.⁴⁶

შესაბამისად, აღნიშნული ნორმებისა და მათ საფუძველზე წარმოებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორ მოკავშირე რესპუბლიკას შორის საზღვრების დადგენისთვის სსრკ-ის კონსტიტუციის მიხედვით, საჭიროა ამ მოკავშირე რესპუბლიკების თანხმობა/შეთანხმება და ამ შეთანხმების დამტკიცება სსრკ-ის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

თავის მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებიც, კერძოდ საქართველოს სსრ კონსტიტუციები (1927, 1937, 1978 წლების), ითვალისწინებენ ამავე შინაარსის მოწესრიგებას საბჭოთა კონსტიტუციებთან შესაბამისობაში. საქართველოს სსრ კონსტიტუციები განამტკიცებენ საქართველოს სსრ-ს თანხმობის აუცილებლობას მისი ტერიტორიის ცვლილებაზე სსრკ-ის კონსტიტუციით დადგენილი წესით.⁴⁷ გამონაკლისია, საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციის პირველადი რედაქცია, სადაც ასფსრ-ის და სსრკ-ის შექმნამდე საქართველოს სუვერენიტეტი ჯერ არ არის შეზღუდული.⁴⁸

1978 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციის 70-ე მუხლის მიხედვით: „საქართველოს სსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. საქართველოს სსრ-სა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა.“⁴⁹

შესაბამისად, სსრკ-ის უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების (კერძოდ, უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს) უფლებამოსილებაა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების ცვლილების, რომელსაც ტერიტორიის ცვლილება მოჰყვება, საბოლოოდ დადასტურება აღნიშნული მოკავშირე რესპუბლიკების თანხმობის საფუძველზე (გამონახტული მათი უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების გადაწყვეტილებებით/სამართლებრივი აქტებით).

⁴⁶ სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით, „მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე“. სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიხედვით, „საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორიის შეცვლა, მათი თანხმობის გარეშე, შეუძლებელია.“ ასევე, სსრკ-ის 1977 წლის კონსტიტუციის 77-ე მუხლის მიხედვით, „მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე“.

⁴⁷ 1927 წლის საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის მე-7 მუხლის მიხედვით „საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეცვლილ იქნეს გარეშე მისი თანხმობისა.“ 1937 წლის საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით „საქართველოს სსრ-ის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე“. 1978 წლის საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის 70-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს სსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.“

⁴⁸ საქართველოს სსრ-ის 1922 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სწორუფლებიან მფლობელობას თავის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ, არც თვითონ განაგრცობს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე“.

⁴⁹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) 70-ე მუხლი, საბჭოთა საქართველო, 1978. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3a5WEFV>.

სხვა შემთხვევებში, როდესაც საზღვრების დადგენას ტერიტორიის ცვლილება არ მოჰყვება, მოკავშირე რესპუბლიკები ურთიერთშეთანხმებითა და საკუთარი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე აღგენდნენ რესპუბლიკებს შორის საზღვრებს.

პირველი შემთხვევის მაგალითად, როდესაც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მიერ განხორციელდა მეორე მოკავშირე რესპუბლიკისთვის ტერიტორიის გადაცემა/საზღვრების ცვლილება, შეგვიძლია განვიხილოთ ყირიმის რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან (რსფსრ), უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისთვის გადაცემის შემთხვევა.

1954 წლის 5 თებერვალს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ყირიმის ოლქის უკრაინის სსრ-ის შემადგენლობაში გადასვლის შესახებ.⁵⁰ 1954 წლის 13 თებერვალს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ამ საკითხზე და ასევე მიიღო დადგენილება, რომლითაც თანხმობა გამოხატა რუსეთის სფსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაზე.⁵¹ 1954 წლის 15 თებერვალს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წერილით მიმართა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მოითხოვა ყირიმის გადაცემის საკითხის განხილვა.⁵² მიმართვის საფუძველზე, 1954 წლის 19 თებერვალს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აღნიშნული საკითხი⁵³, მიიღო დადგენილება ყირიმის ოლქის უკრაინის სსრ-სთვის გადაცემასთან დაკავშირებით ერთობლივი წარდგინების დამტკიცების შესახებ და გამოსცა შესაბამისი განკარგულება ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.⁵⁴ აღნიშნული განკარგულების საფუძველზე სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ 1954 წლის 26 აპრილს მიიღო

⁵⁰ Протокол N41 заседания Президиума Верховного Совета РСФСР о передаче Крымской области из состава РСФСР в состав УССР, 5 февраля 1954 г, Государственный архив Российской Федерации, Ф. А-385. Оп. 13. Д. 492. Л. 1-2. Опубликовано: Исторической архив, 1992. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3qUvUyW>.

⁵¹ "Decree of the Presidium of the Ukrainian Supreme Soviet, 'Concerning the Submission of the RSFSR Supreme Soviet Presidium Concerning the Issue of the Transfer of the Crimean Oblast to the Ukrainian SSR'," February 13, 1954, History and Public Policy Program Digital Archive, GARF. F. 7523. Op. 85. D. 94. L. 8. Published in "Istoricheskii arkhiv" (1992). Translated for CWIHP by Gary Goldberg. ხელმისაწვდომია აქ: <https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/119636>.

⁵² "Letter from D. S. Korotchenko and V. Ye. Nizhnik to K. Ye. Voroshilov, with a Report about the Decree of the Presidium of the Ukrainian SSR Supreme Soviet," February 15, 1954, History and Public Policy Program Digital Archive, GARF. F. 7523. Op. 85. D. 94. L. 8. Published in "Istoricheskii arkhiv" (1992). Translated for CWIHP by Gary Goldberg. ხელმისაწვდომია აქ: <https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/119637>.

⁵³ Стенограмма заседания Президиума Верховного Совета ССР по вопросу о передаче Крымской области из состава РСФСР в состав УССР, 19 февраля 1954 г, Государственный архив Российской Федерации, Ф. Р-7523. Оп. 85. Д. 25. Л. 1-10. Опубликовано: Исторической архив, 1992 ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3crzWef>.

⁵⁴ Указ Президиума Верховного Совета ССР по вопросу <<о передаче Крымской области из состава РСФСР в состав УССР>>, 19 февраля 1954 г, Государственный архив Российской Федерации, Ф. Р-7523. Оп. 57. Д. 963. Л. 5. Опубликовано: Исторической архив, 1992. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3sUaTGp>

შესაბამისი კანონი, რომლის საფუძველზეც ცვლილებები განხორციელდა სსრკ-ის კონსტიტუციაში და აისახა ყირიმის ოლქის უკრაინის სსრ-ის შემადგენლობაში შესვლა.⁵⁵

მეზობელ სუვერენულ სახელმწიფოებთან საზღვრების დადგენის უფლებამოსილება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციურ ჩარჩოში.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, რომელიც მოქმედი კონსტიტუციაა, არსებითად არ შეცვლილა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის, სუვერენული ტერიტორიისა და სახელმწიფოს საზღვრების საკითხი. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.⁵⁶ აღნიშნული თარიღი უკავშირდება სსრკ-ის როგორც სუვერენული სახელმწიფოს დასასრულს, როდესაც ამ უკანასკნელმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, არსებობა შეწყვიტა.

კონსტიტუციის იმავე ნორმის თანახმად: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.“⁵⁷

კონსტიტუცია ასევე კრძალავს **საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისებას**. კონსტიტუციის შესაბამისადვე, **„სახელმწიფო საზღვრის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.“**⁵⁸ აღნიშნულიდან გამომდინარეობს ასევე საქართველოს უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოთა უფლებამოსილება მეზობელ სახელმწიფოებთან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე გადაწყვიტონ სახელმწიფო საზღვრების საკითხი.

კონსტიტუციის მე-7 (1) (დ) მუხლის თანახმად, სახელმწიფო საზღვრის სტატუსისა და დაცვის საკითხები მიეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას. საქართველოს კონსტიტუციის 47 (2) (გ)-ე მუხლის თანახმად კი სავალდებულოა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების პარლამენტის მიერ რატიფიკაცია, რომელიც „ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას“.⁵⁹

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებას და საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებას ამ ხელშეკრულებების დასადაბად, მათ შორის სახელმწიფო საზღვრის შეცვლის, მისი დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებზე საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით

⁵⁵ Закон СССР от 26 апреля 1954 г. "О передаче Крымской области из состава РСФСР в состав Украинской ССР", ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/39INTrT>.

⁵⁶ საქართველოს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N31-33, 1995 (კონსოლიდირებული ვერსია).

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე, 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებაა.⁶⁰ შესაბამისად, იმის მიხედვით თუ რომელ ინსტიტუტს ჰქონდა ეს სტატუსი, აღნიშნული უფლებამოსილება 1995 წლიდან დღემდე კონსტიტუციით ეკუთვნოდა ჯერ საქართველოს პრეზიდენტს, ხოლო შემდეგ საქართველოს მთავრობას.⁶¹

დასკვნა

სსრკ-სა და საქართველოს კონსტიტუციური ჩარჩოს ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი. სსრკ-ის შემადგენლობაში საქართველოს სსრ სარგებლობდა მუხლდული სუვერენიტეტით და არ იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. საქართველოს სსრ როგორც სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკა საკუთარ საზღვრებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ადგენდა ამ რესპუბლიკებთან ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს სსრ უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების გადაწყვეტილებით. იმ შემთხვევაში, თუ სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრების დადგენა იწვევდა მათ შეცვლას აუცილებელი იყო აღნიშნული შეთანხმების დამტკიცება სსრკ-ის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია დაადგინა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო საზღვრებში. საქართველოს საერთაშორისო აღიარებაც განხორციელდა იმავე საზღვრებში. ამ კონსტიტუციური ნორმით საქართველომ აღიარა სსრკ-ის შემადგენლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ სსრკ-ის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შეთანხმებული და სსრკ-ის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ დამტკიცებული სახელმწიფო საზღვრები.

⁶⁰ იქვე, 55-ე მუხლის მე-3 პუნქტი - „პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით“.

⁶¹ 1995-დან 2004 წლამდე და 2004-2013 წწ პერიოდებში მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისი რედაქციების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი იყო საგარეო ურთიერთობებში უმაღლესი წარმომადგენელი (მუხლი 69(3)), ის წარმართავდა და ახორციელებდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას (მუხლი 69(2)). საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების დადება, უცხოეთის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების წარმოება, პრეზიდენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა (მუხლი 73(1)(ა)). 2013 წლიდან, 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, პრეზიდენტი კარგავს უმაღლესი წარმომადგენლის სტატუსს და მისი უფლებამოსილება მხოლოდ საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობით შემოიფარგლება (მუხლი 69(3)). მეტიც, წინა რედაქციებისგან განსხვავებით, საგარეო პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილებაც მთავრობაზე გადავიდა (მუხლი 78(1)) და პრემიერ-მინისტრი და მინისტრები საგარეო ურთიერთობებში საქართველოს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენდნენ (მუხლი 78(4)). ამასთან, სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკების წარმოება, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება, პრეზიდენტს მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით შეეძლო (მუხლი 73(1)(ა)).

საქართველოს კონსტიტუციით, საქართველომ როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ დაიტოვა უფლებამოსილება მეზობელ სახელმწიფოებთან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ სავალდებულო რატიფიკაციას - განსაზღვროს სახელმწიფო საზღვრის ნებისმიერი ცვლილება და ზოგადად მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

ნაწილი II - აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მთავრობათაშორისი ერთობლივი კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საერთაშორისო პრაქტიკა: სახელმწიფოთაშორისი კომისიის მუშაობიდან საერთაშორისო ხელშეკრულების ორმხრივ რატიფიკაციამდე.

საერთაშორისო სამართალსა და სახელმწიფოთაშორის პრაქტიკაში სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციას განმარტავენ, როგორც: „ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის საზღვრის იურიდიულ ფორმალიზაციას, რომლის პოზიციები არის გრაფიკულად დატანილი ტოპოგრაფიულ რუკაზე და სათანადოდ არის განსაზღვრული მის წერილობით აღწერაში, რის შედეგადაც ეს რუკა და აღწერა შეიძლება გახდეს საერთაშორისო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი ან მისი დანართი.“⁶²

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ მომზადებული სახელმძღვანელო სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის შესახებ, დეტალურად აღწერს აღნიშნული რთული პროცესის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

პირველ რიგში, აუცილებელია შიდასახელმწიფოებრივ დონეზე პროცესის ინიცირება, უმაღლესი სახელისუფლებო ინსტიტუტების მიერ.⁶³ საწყის ეტაპზე იქმნება სამუშაო ჯგუფი შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, რომლის მიზანიცაა საზღვრის შესახებ არსებული მდგომარეობის (სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნიკური) შესწავლა, შესაბამისი ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება და უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოებისთვის წარდგენა.⁶⁴ ეს ანგარიში მიზნად ისახავს პოლიტიკურ ხელისუფლებას მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრის დელიმიტაციის მოლაპარაკებებისთვის პოზიციის შესამუშავებლად.⁶⁵

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ კომისიაში სათანადო პროპორციით იყვნენ წარმოდგენილები როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებები და საჯარო

⁶² Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE), *Delimitation and Demarcation of State Boundaries: Challenges and Solutions*, 2017, 8.

ხელმისაწვდომია აქ: <https://www.osce.org/files/f/documents/9/2/363466.pdf>.

⁶³ იქვე, 12.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ იქვე, 24.

მოხელები, ისე შესაბამისი სფეროების ექსპერტები, მათ შორის, კარტოგრაფები, გეოდეზისტები, გეოგრაფები და ა.შ.⁶⁶ სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე, სახელმწიფო ამტკიცებს მოლაპარაკებისთვის საკუთარ პოზიციას და იწყებს ორმხრივ მოლაპარაკებებს დელიმიტაციის მიზნით.⁶⁷

დელიმიტაციის მიზნით ორმხრივი მოლაპარაკების საუკეთესო და ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტი საერთაშორისო პრაქტიკით არის სახელმწიფოთაშორისი/მთავრობათაშორისი ერთობლივი კომისია.⁶⁸ თითოეული მხარე ქმნის საკუთარ დელეგაციას კომისიისთვის. სასურველია რომ დელეგაციას ჰყავდეს თანათავმჯდომარეები მხარეთა დელეგაციის ხელმძღვანელების სახით. დელეგაციას ჩვეულებრივ ხელმძღვანელობენ დიპლომატები, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების გამოცდილება. სასურველია რომ ყოველი მხრიდან დელეგაციის შემადგენლობაში სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილი შესაბამისი საექსპერტო ცოდნის მქონე პირები, მათ შორის ისინიც, ვინც ეროვნულ დონეზე მონაწილეობდნენ პოზიციის შემუშავებაში.⁶⁹

ერთობლივი კომისია საწყის ეტაპზე იღებს რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. პირველ რიგში, კომისია შეიმუშავებს საკუთარი მუშაობის მარეგულირებელ წესებს. მხარეების მიერ შემუშავებული ვერსიების შეჯერების საფუძველზე აღნიშნულ წესებს საბოლოოდ ამტკიცებს კომისია.

კომისიის შეხვედრებს ჩვეულებრივ თავმჯდომარეობს კომისიის თანათავმჯდომარე კომისიის სხდომის მასპინძელი მხარის მხრიდან.⁷⁰ კომისია საკუთარი მუშაობის პროცედურულ წესებთან ერთად, შეიმუშავებს არსებითი წესების ჩარჩოსაც, დელიმიტაციის საერთაშორისო პრაქტიკისა და პრეცედენტების გამოყენებით, სპეციფიკურ ადგილებთან მიმართებით, რომლებიც უნდა გამოიყენონ საზღვრის მთელს მონაკვეთზე.⁷¹

ურთიერთნდობაზე დაფუძნებული საბაზისო სასაზღვრო ხაზის არჩევა და მისი კოორდინაცია მოლაპარაკების პარტნიორ მხარესთან მიჩნეულია დელიმიტაციის პროცესის წარმატების მთავარ გასაღებად.⁷² საერთაშორისო სამართლის თანახმად, უპირატესობა ენიჭება ადმინისტრაციულ საზღვარს თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. ამრიგად, საერთაშორისო სამართალი პატივს სცემს მხარეთა უფლებას თავად გადაწყვიტონ და გამოიყენონ დელიმიტაციის ის ხაზი რომელიც ორივე მხარისათვის მისაღებია.⁷³ იმისათვის რომ თავიდან იქნეს არიდებული ადმინისტრაციული საზღვრის ხაზის თვითნებური გავლება რომელიმე მხარის მიერ, სასურველია გამოყენებული იყოს ის რუკა რომელზე დატანილი ხაზიც ეფუძნება სამართლებრივ დოკუმენტებს.⁷⁴

⁶⁶ იქვე, 12.

⁶⁷ იქვე, 25.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ იქვე, 27.

⁷¹ იქვე, 29.

⁷² იქვე, 30.

⁷³ იქვე.

⁷⁴ იქვე.

მას შემდეგ რაც მხარეები მიაღწევნ თანხმობას საბაზისოდ აღებული რუკის მასშტაბზე და მასზე დატანილ სადელიმიტაციო ხაზზე, მხარეთა დელეგაციები იწყებენ აუცილებელი კარტოგრაფიული მასალების შეგროვებას.⁷⁵ დელეგაციები ზედმიწევნით აღარებენ საბაზისოდ აღებული სადელიმიტაციო ხაზის მდებარეობას მხარეების რუკაზე, ანალიზებენ იმ სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს საკუთარ პოზიციებს და გამოარჩევენ იმ ადგილმდებარეობებს, სადაც სადელიმიტაციო ხაზის მდებარეობის შეუსაბამობები არსებობს.⁷⁶

შეუსაბამობების უფრო დაწვრილებით გამოსაკვლევად, მხარეები კომისიის შემადგენლობიდან ქმნიან ერთობლივ სამუშაო ჯგუფებს, რომელიც კომისიის შეხვედრებს შორის სწავლობს საკითხს და ამზადებს მას კომისიის მიერ გადასაწყვეტად.⁷⁷

შეუსაბამობები შეიძლება არსებობდეს როგორც მხარეთა მიერ წარმოდგენილ კარტოგრაფიულ მასალებს შორის, ისე ამ მასალებსა და ადგილზე მიწის რეალურ გამოყენებას შორის. საკითხის შესასწავლად შეიძლება კომისიამ მოაწყოს სადავო ადგილებზე საველე ვიზიტებიც.⁷⁸

საკითხის შესწავლის შემდეგ, კომისია უნდა შეთანხმდეს ოპტიმიზაციის ზოგად წესებსა და პრინციპებზე.⁷⁹ შეთანხმებული პრინციპებისა და წესების გამოყენების შედეგად კომისია ახდენს საზღვრის მთელი პერიმეტრის ოპტიმიზაციას და შეუსაბამობების აღმოფხვრას. შეუსაბამობების აღმოფხვრა შესაძლებელია ტერიტორიული კომპენსაციების გზით, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. საკომპენსაციო ტერიტორიის გადაცემით, მხარეები აღმოფხვრიან სადელიმიტაციო ხაზზე აღმოჩენილ დისბალანსს. კომისია შეიმუშავებს ამომწურავ ცხრილს ასეთი საკომპენსაციო ტერიტორიებისა სადელიმიტაციო ხაზის გასწვრივ.⁸⁰

მას შემდეგ რაც სადელიმიტაციო ხაზთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება მხარეთა მიერ გადაწყდება, კომისია შეიმუშავებს სადელიმიტაციო დოკუმენტაციას რომელიც საფუძვლად ედება მხარეთა შორის საზღვრის დელიმიტაციის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებას.⁸¹ კომისია შეიმუშავებს რუკას მასზე დატანილი მხარეთა მიერ საბოლოოდ შეთანხმებული სადელიმიტაციო ხაზით და რუკის აღწერას. აღნიშნული დოკუმენტები ხდება ხელშეკრულების არსებითი ნაწილი ან დანართის სახით დაერთვის მას.

სადელიმიტაციო ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ, სავალდებულოა მისი რატიფიკაცია ორივე მხარის კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად. სადელიმიტაციო საერთაშორისო ხელშეკრულებების დეპოზიტარი არის გაერთიანებული ერების სამდივნო.⁸²

მას შემდეგ რაც სადელიმიტაციო ხელშეკრულება რატიფიცირებულია და ძალაში შედის, მის საფუძველზე მხარეები იწყებენ უკვე ადგილზე საზღვრის დემარკაციის პროცესს.

⁷⁵ იქვე, 30.

⁷⁶ იქვე, 35.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე, 36.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ იქვე, 39.

⁸¹ იქვე, 47.

⁸² იქვე, 47.

მთავრობათაშორისი კომისიის ერთობლივი სხდომის 1996 წლის 13 ივნისის ოქმის სამართლებრივი ბუნება

წინა ნაწილში განხილული საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე უნდა შევავსოთ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის მთავრობათაშორისი ერთობლივი კომისიის სხდომის 1996 წლის 13 ივნისის ოქმი.⁸³

ოქმის შინაარსის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კომისიის შექმნა და მისი პირველი გადაწყვეტილებები, რომელიც მოცემულ ოქმშია გაფორმებული სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართალსა და სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

კერძოდ, როგორც ოქმიდან ირკვევა, კომისიამ პირველივე შეხვედრაზე მიიღო საკუთარი მუშაობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები. კომისიის გადაწყვეტილებით, მხარეებმა საბაზისო სადელიმიტაციო ხაზად აიღეს 1938 წელს საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმისა და აზერბაიჯანის სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ ორმხრივად დამტკიცებული ოქმი. მხარეების მიერ აღნიშნული ოქმის ორმხრივი დამტკიცება აღიარებული იქნა როგორც მათ შორის საზღვრის შესახებ ბოლო ორმხრივი შეთანხმება.

შესაბამისად, მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ კარტოგრაფიულ მასალებზე აღნიშნული საბაზო ხაზის დატანის უზუსტობების განხილვა წარმოებულიყო 1:50 000 მასშტაბის რუკაზე.

ამრიგად, 1996 წლის 13 ივნისის ოქმიდან ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის შესახებ ორმხრივი მოლაპარაკებების ყველაზე მნიშვნელოვან საწყის საკითხზე - განსაზღვრეს საბაზისო სადელიმიტაციო ხაზი 1938 წელს მხარეების უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ ორმხრივად დამტკიცებული დოკუმენტის საფუძველზე.

საზგასასმელია, რომ მხარეთა ამ შეთანხმების მთავარი სამართლებრივი საფუძველი არის სწორედ აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტის (1938 წლის ოქმი) ორმხრივი დამტკიცება. დამატებით, ორმხრივად შეთანხმებული ადმინისტრაციული საზღვრის საბაზისო სადელიმიტაციო ხაზად აღიარება ასევე შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ერთობლივი კომისიის ფარგლებში, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დელიმიტაციის მოლაპარაკებების პროცესში საბაზისო სადელიმიტაციო ხაზის შესახებ აღნიშნული შეთანხმების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ცვლილების ინიციატორმა მხარემ წარმოადგინოს იმგვარი წონადი სამართლებრივი არგუმენტები, რომლებიც გაამყარებს სადელიმიტაციო ხაზის ცვლილების აუცილებლობას.

⁸³ Протокол Совместно заседания азербайджанской и грузинской Правительственных Комиссий по делимитации и демаркации государственной границы между Азербайджанской Республикой и Грузией, Тбилиси, 13 июня 1996 г.

იმის გათვალისწინებით, რომ 1938 წლის ორმხრივად დამტკიცებული ოქმით განსაზღვრული სადელიმიტაციო ხაზი არის ყველაზე ბოლო ასეთი ხაზი რომელიც მხარეებს ორმხრივად აქვთ შეთანხმებული, არ არსებობს წონადი სამართლებრივი არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა საბაზისო სადემარკაციო ხაზად 1938 წლის ოქმით განსაზღვრული ხაზის აღებაზე უარის თქმას.

შესაბამისად, ასევე არ არსებობს მყარი სამართლებრივი არგუმენტი თუ რატომ უნდა ითქვას უარი 1938 წლის ოქმზე დართულ 1:500 000 მასშტაბის რუკის, რომელზეც აღნიშნული საბაზისო სადელიმიტაციო ხაზი არის დატანილი, საბაზისო მასალად გამოყენებაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია რომ, მხარეები აღიარებენ რუკების სიზუსტის პრობლემებს და ასევე ღიად ტოვებენ სხვა კარტოგრაფიული მასალის გამოყენების შესაძლებლობას. ნებისმიერი უზუსტობა რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს მხარეთა მიერ, საბოლოოდ მაინც მხარეების მიერ შემუშავებული ოპტიმიზაციის პრინციპების შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

კარტოგრაფიული მასალების მნიშვნელობა და სამართლებრივი სტატუსი საზღვრის დელიმიტაციის პროცესში.

რუკა საზღვრის დადგენის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ასახავს რელიეფის მდგომარეობას დროის კონკრეტულ მონაკვეთში. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დედამიწის ზედაპირზე ცვალებადი მდგომარეობის გამო, რომელსაც ანთროპოგენური და ბუნებრივი ზემოქმედება იწვევს, ნებისმიერ რუკას დაძველება ახასიათებს და შესაძლოა გამოუსადეგარი გახდეს.⁸⁴

სახელმწიფო საზღვრების ორმხრივი დელიმიტაციის მოსამზადებელ და მოლაპარაკებების ეტაპზე, მთავარი სამუშაო მასალა/დოკუმენტი არის ტოპოგრაფიული რუკა, სადაც დატანილია ადმინისტრაციული და სახელმწიფო საზღვრები და შესაბამისი სადელიმიტაციო ხაზები.⁸⁵ სხვადასხვა სახის რუკებს შორის ტოპოგრაფიული რუკა ყველაზე უფრო ზუსტად მიიჩნევა და შესაბამისად, სწორედ ამიტომ არის მიჩნეული დელიმიტაციის პროცესში ძირითად კარტოგრაფიულ მასალად. სხვა დანარჩენი სახის რუკები შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც დამხმარე, დამაზუსტებელი და შემავსებელი ტოპოგრაფიულ რუკებთან მიმართებით.

რუკა არის ძირითადი სამუშაო ინსტრუმენტი საზღვრების დადგენისას. მოლაპარაკებების მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ რომელი ტიპის და მასშტაბის რუკას გამოიყენებენ. სასურველია, რომ გამოყენებული იყოს ტოპოგრაფიული რუკა მისი ყველაზე უფრო დიდი სიზუსტის გამო. საერთაშორისო პრაქტიკა ასევე გულისხმობს სადელიმიტაციო ხაზის მთელი პერიმეტრისთვის ერთი და იმავე მასშტაბის რუკის გამოყენებას.

⁸⁴ Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE), Delimitation and Demarcation of State Boundaries: Challenges and Solutions, 2017, 15.

⁸⁵ იქვე.

მხარეები დელიმიტაციის შესახებ მოლაპარაკებების პროცესში შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ სადელიმიტაციო ხაზის სხვადასხვა მონაკვეთებზე გამოიყენონ სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები. თუმცა ამ ტიპის შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იქნება თუ არ იარსებებს სათანადო სამართლებრივი არგუმენტები განსხვავებული მასშტაბის რუკების გამოყენების შესახებ.

ეს განაპირობებს იმას, რომ საზღვრების დელიმიტაციის პროცესში რუკის შეთანხმება, რომელზეც სადელიმიტაციო ხაზია დატანილი დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გამოყენებული კარტოგრაფიული მასალის სიზუსტე, არამედ მისი შესაბამისობა სამართლებრივ საფუძველთან რომლებსაც მხარეები შეთანხმებით ეყრდნობიან დელიმიტაციის პროცესში.

1938 წლის მარტში საქართველოს და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების მიერ დამტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენის ოქმისა და თანდართული 1: 500 000 მასშტაბის რუკაზე დატანილი სადელიმიტაციო ხაზის სამართლებრივი მნიშვნელობა.

შესაბამისად, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მთავრობათაშორისი ერთობლივი კომისიის მიერ საბაზისო სადელიმიტაციო ხაზად 1938 წელს ორმხრივად შეთანხმებული დოკუმენტით განსაზღვრული ხაზის აღება ეფუძნება მკაფიო და დამაჯერებელ სამართლებრივ არგუმენტაციას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

როგორც წინა ნაწილში საბჭოთა კონსტიტუციების მიმოხილვისას აღვნიშნეთ, მოკავშირე რესპუბლიკები საკუთარი უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მეშვეობით იღებდნენ გადაწყვეტილებას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან საზღვრების დადგენის შესახებ. როდესაც საზღვრების დადგენა იწვევდა სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიულ ცვლილებებს აუცილებელი იყო ორმხრივად მიღწეული გადაწყვეტილების დამატებითი დამოწმება სსრკ-ის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

საქართველოს სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს შორის საზღვრის დადგენის შესახებ ბოლო ორმხრივი შეთანხმება, რომელიც დამტკიცდა ორივე მხარის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოს (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი) მიერ თარიღდება 1938 წლით. 1938 წლის 5-7 მარტს შედგა რესპუბლიკათაშორისი თათბირი,⁸⁶ რომლის ოქმიც მოიცავდა რესპუბლიკებს შორის საზღვრის დადგენის შეთანხმებას და შესაბამის რუკას. აღნიშნული თათბირის ოქმი და თანდართული რუკა საქართველოს სსრ-ის ცაკ-ის

⁸⁶ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1938 წლის 23 მარტის ოქმი N63, 31.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1938 წლის 23 მარტს.⁸⁷ იგივე გადაწყვეტილება მიიღო აზერბაიჯანის სსრ-ის ცაკ-ის პრეზიდიუმმა 1938 წლის 5 მაისს.⁸⁸

აღსანიშნავია, რომ 1938 წლისთვის საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ-ებს შორის ტერიტორიული ცვლილებები უკვე განხორციელებული იყო და დადასტურებული იყო შესაბამისი კონსტიტუციური პროცედურებით ასფსრ-ის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ.⁸⁹ ასფსრ-ის ფარგლებში, მის შემადგენელ რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული ცვლილებების დამტკიცება არ მიეკუთვნებოდა სსრკ-ის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების უფლებამოსილებას, რამდენადაც ეს რესპუბლიკები არ სარგებლობდნენ სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსით.

შესაბამისად, 1938 წლის შეთანხმება, რამდენადაც არ გულისხმობდა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიების ცვლილებას, აღარ საჭიროებდა დამტკიცებას სსრკ-ის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

ამრიგად, 1938 წლის შეთანხმება სრულად შეესაბამება საბჭოთა კონსტიტუციური კანონიერების სტანდარტს და საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მიერ არ არსებობდა მასში ეჭვის შეტანის საფუძველი. შესაბამისად, საქართველომ და აზერბაიჯანის რესპუბლიკამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფოებმა, საკუთარი შეთანხმებით სცნეს 1938 წლის ოქმის ვალიდურობა და მასში გადმოცემული სამართლებრივი რაციონალი და მის საფუძველზე გავლებული სადელიმიტაციო ხაზი აიღეს საბაზისოდ მიმდინარე მოლაპარაკებებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ არ იყო სუვერენული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი სუბიექტი და საქართველოს არ უცვნია თავი საქართველოს სსრ-ის ან სსრკ-ის სამართალმემკვიდრედ საერთაშორისო ურთიერთობებში, საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, საკუთარი სუვერენული გადაწყვეტილებით საერთაშორისო სამართალი მაინც აძლევს უფლებამოსილებას სამართლებრივი ძალა მიანიჭოს იმ სახელისუფლებო ორგანოების სამართლებრივ აქტებს, რომლის სამართალმემკვიდრედაც არ არის აღიარებული.⁹⁰

სწორედ სუვერენული უფლებამოსილების განხორციელების ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე საქართველოს მხრიდან 1996 წლის 13 ივნისის ოქმში, როდესაც საქართველომ აღიარა სამართლებრივი საფუძველი 1938 წელს ორმხრივად დამტკიცებული საზღვრის დადგენის ოქმისა და სამართლებრივი ძალა მიანიჭა საქართველოს სსრ-ის ცაკ-ის პრეზიდიუმის 1938 წლის 23 მარტის დადგენილებას.⁹¹

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ Протокол N59, Заседания Президиума АзЦИК об утверждении графического начертания границ Азербайджанской ССР для издания ГУКС"ом НКВД Союза ССР административной карты АзССР, от 5 мая 1938 г.

⁸⁹ Протокол N3, Заседания Президиума Закавказского Центрального Исполнительного Комитета Советов, рабочих, крестьянских, красноармейских и матросских депутатов, от 18 февраля 1929 г.

⁹⁰ Mullerson, R. (1993). The Continuity and Succession of States, by Reference to the Former USSR and Yugoslavia. The International and Comparative Law Quarterly, 42(3), 473-493.

⁹¹ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1938 წლის 23 მარტის ოქმი N63.

მხარეების მიერ აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩოს ორმხრივი აღიარება ქმნის საფუძველს 1938 წელს ორმხრივად დამტკიცებული ოქმისათვის თანდართულ 1: 500 000 მასშტაბის რუკაზე დატანილი სადელიმიტაციო ხაზის აღებისა საბაზო სადელიმიტაციო ხაზად. მხარეები იტოვებენ უფლებას, რომ საჭიროების შემთხვევაში, რაც ნაგულისხმევად მოიცავს სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობასაც, სხვა კარტოგრაფიული მასალის გამოყენების უფლებასაც. თუმცა აღნიშნული უნდა განხორციელდეს ორმხრივი შეთანხმებით და უნდა ეფუძნებოდეს იმ საბაზო სადელიმიტაციო ხაზს, რომელიც 1938 წლის ოქმითაა განსაზღვრული.

დასკვნა

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1996 წლის 13 ივნისს, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის მთავრობათაშორისი კომისიის ფარგლებში 1938 წელს მხარეების მიერ ორმხრივად შეთანხმებული სადელიმიტაციო ხაზის საბაზისოდ მიჩნევა, სრულად შეესაბამება როგორც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, ისე საერთაშორისო სამართალსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. 1938 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ-ების ცაკ-ების პრეზიდენტების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები შეესატყვისებიან საბჭოთა კონსტიტუციური კანონიერების მოთხოვნებს და მათი სამართლებრივი აღიარება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენული სახელმწიფოების მიერ სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართალს. დამატებით, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან, ასევე სრულად შეესაბამება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მოთხოვნებსაც.